

ელისაბედ ჩერქეზიშვილი

ელისაბედ ჩერქეზიშვილი დაიბადა 1863 წლის 14 ნოემბერს, გორის მაზრის სოფ. კოშკაში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. განათლება არ მიუღია. ქართული ენა მამამ „ვეფხისტყაოსანით“ შეასწავლა და მუსიკაც შეაყვარა.

ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ელისაბედისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ თავისი შესაფერი გზა გაეკვლია ცხოვრებაში, რაზეც 60 წლის განმავლობაში 400 განსახიერებელი როლი მეტყველებს. მისმა მეუღლემ, საზოგადო მოღვაწემ, ნიკო ხიზანიშვილმა იგი ქართველ მწერალებს დაუახლოვა, რომელიც ახალგაზრდა ქალისთვის უმაღლეს სკოლად გადაიქცა. ელისაბედი ხშირად იმყოფებოდა ქეთევან ჟურჯულაძის ოჯახში. სწორედ მან შეატყო სამსახიობო ნიჭი და ურჩია თბილისში წასვლა ვასო თუმანიშვილთან, რომელიც მაშინ ქართული თეატრის რეჟისორი იყო. 1884 წელს მონაწილეობა მიიღო სოფ. მერეთში გამართულ სცენისმოყვარეთა წარმოდგენაში, სადაც განსახიერა სარას როლი ავქ. ცაგარელის პიესაში „ხანუმა“.

პროფესიულ თეატრში ელისაბედ ჩერქეზიშვილი პირველად 1886 წლის 15 სექტემბერს გამოვიდა და ვ. დიჩენკოს პიესაში „ეხლანდელი სიყვარული“ ნატალიას როლი ითამაშა. ეს მაშინ გმირობის ტოლფასი იყო, ვინაიდან ქალის სცენაზე გამოჩენა სამარცხვინოდ ითვლებოდა. ახალბედა მსახიობის დებიუტი, ჟურნალ „თეატრში“ დადებითად შეაფასა ვ. გუნიაძე: „საუცხოვოდ შეასრულა თავისი როლი ახალმა არტისტმა ქალმა ლ. ჩერქეზიშვილმა. ამ ახალს მოთამაშეს ნიჭიც ეტყობა და ცოდნაც.“ ამის შემდეგ, ლ. ჩერქეზიშვილი საზოგადოებამ და პრესამ, საინტერესო მსახიობად აღიარა და ქართული სცენის წამყვან მსახიობთა გვერდით არაერთი მნიშვნელოვანი სახე შექმნა. პატრიოტული სულისკვეთებით იყო განმსჭვალული ქალის ეპიზოდური სახე დ. ერისთავის „სამშობლოში“. ელისაბედი ქართველი დედის მებრძოლ სახეს ქმნიდა და სულთანთან დიალოგში მტრისადმი სიძულვილს ემოციურად გამოხატავდა. ასევე საინტერესო იყო ისახარის (ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის „ლალატი“) სახე, სადაც ძუნწი გამომსახველობითი საშუალებებით, მსახიობი მაყურებელს არწმუნებდა პატრიოტი ქალის ურყევ გადაწყვეტილებაში, როდესაც სამშობლოს ინტერესებისთვის პირმოც უყოყმანოდ შეეძლო გაენირა. ამავე ავტორის პიესაში „ბორკილი“ ელ. ჩერქეზიშვილი, რუსი არისტოკრატი ანფისას სახეში მკაცრ, დინჯ და ამავე დროს ლმობიერ დედას ასახიერებდა. შემდგომში მსახიობი წარმატებით ასრულებდა: მაიას, დედოფალს (ავ. წერეთელის „განთიადი“, „პატარა კახი“), ტასიას (ე. გაბაშვილის „ბედი მუხთალია“), ანა ანდრეევნას (ნ. გოგოლის „რევიზორი“), ელისაბედი (რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“), მამიდა (ტრ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“), ხანუმა, სარა, ქაბატო (ავქ. ცაგარელის „ხანუმა“) და სხვა. მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები იყვნენ თვით ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. საქართველოში არ დარჩენილა კუთხე, სადაც ლიზა არ მიეწვიათ და ეს დღე ზემად არ ქცეულიყო.

ელ. ჩერქეზიშვილი ქართული რეალისტური თეატრის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, რომელიც ასევე წარმატებით გამოდიოდა რუსულ კლასიკურ და ევროპულ პიესებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია კუკუშკინას (ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“) სახე, რომელშიც მსახიობმა ნატო გაბუნია შეცვალა. მისი გმირის, შვილისადმი სიყვარულში ანგარებითი დამოკიდებულება ჩანდა, რომელიც თავისი დაუნდობლობითა და სასტიკი ხასიათით გამოირჩეოდა. იმის გარდა, რომ ე. ჩერქეზიშვილი მთავარი როლის შემსრულებლად გამოიკვეთა, მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ გარემოებასაც, რომ იგი პარტნიორობას ღირსეულად უწევდა სცენის დიდოსტატებს ვ. აბაშიძესა და ლ. ალექსი-მესხიშვილს. ღრმა შინაგანი ბრძოლითა და ფსიქოლოგიური განცდით გამოირჩეოდა გალჩინა (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დამნაშავენი“), სადაც პიროვნული გაორება, სიღარიბისა და სათნოების მონაცვლეობა მაყურებლის თანაგრძნობას იწვევდა. იმდროინდელი პრესაც აღნიშნავდა, რომ კომიკური როლების შემსრულებელი მსახიობისთვის ასეთი დრამატული სახე საზოგადოებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

ელ. ჩერქეზიშვილი მართებულად ითვლება ნ. გაბუნიას ღირსეულ მემკვიდრედ, რომელიც ახალი გამომსახველობითი საშუალებებით ამდიდრებდა როლებს და სახეებში თავისი განუმეორებელი ელფერი შეჭქონდა. მაგალითად, „ორ ობოლში“ მაძამ ფროშარის დრამატულ სახეში იგრძნობოდა მისი გაიძვერა ბუნება და მანანნალა ქალის დაუდგრომელი ხასიათი, ხოლო ზერფინას (დე კორსელის „ორი ჯიბგირი“) როლში, პრესამ იგი საუკეთესო შემსრულებლად აღიარა. ელ. ჩერქეზიშვილი აქტიურად მონაწილეობდა და არაერთი როლი განასახიერა ავჭალის, ნაძალადევის, ზუბალაშვილისა და სხვა სახალხო თეატრების წარმოდგენებშიც.

სხვადასხვა დროს მუშაობდა: რუსთაველის (1921-24 წწ.), ქუთაისის (1924-25 წწ.), თბილისის სახალხო სახლისა (1925-30 წწ.) და მარჯანიშვილის (1930-48 წწ.) თეატრებში. ბოლო წლებში, თეატრსა და კინოში, მსახიობი ძირითადად ეპიზოდურ როლებს ასრულებდა, რომლებშიც დიდი ოსტატობით დასრულებულ სახეებს ქმნიდა: ნენე (ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“), ხორეშანი (შ. დადიანის „ჩატეხილი ხიდი“), მაკრინე (ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“), მარიამი (ვ. შკვარკინის „უბრალო გოგონა“), პელაგია, სოფორია (გ. ბააზოვის „განუჩრეველად პიროვნებისა“, „იკკა რიჟინაშვილი“), როდამი (უშ. ჩხეიძის „გიორგი სააკაძე“) და სხვა უკვდავი სახეები ჩვენს სასცენო ხელოვნებაში.

ქართული საზოგადოება აფასებდა ელ. ჩერქეზიშვილის ღვაწლს, რისთვისაც ჯერ 1916 წელს გადაუხადეს შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლის, ხოლო 1926 წელს 45 წლის იუბილე და მიანიჭეს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება. საზოგადოებამ განსაკუთრებული პატივი მიაგო ამავდარ მსახიობს, როდესაც 1947 წლის 19 მარტს მოღვაწეობის 60 წლის იუბილე გაუმართა, ხოლო რაიონებში არაერთი საღამო მოეწყო.

ელისაბედ ჩერქეზიშვილს ასევე საკმაოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული კინოხელოვნების წინაშე. გადაღებულია კინოფილმებში: დედა („არსენა ჯორჯიაშვილი“, 1921), ჯუფანა („ვინ არის დამნაშავე“, 1925), ხანუმა („ხანუმა“, 1926), დედა („ორი მონადირე“, 1927), კნენა („ჯანყი გურიში“, 1928), თათრის ქალი („შეხვედრა“, 1930), მაჭანკალი („ჟუჟუნას მზითევი“, 1934), კოლმეურნე („ქალიშვილი გალმიდან“, 1940), მაკარის დედა („ქეთო და კოტე“, 1948) და სხვა. ქართული თეატრალური კულტურის ტრადიციებზე აღზრდილი, რეალისტური სკოლის საუკეთესო წარმომადგენელი, თავისი შემოქმედებით მხარში ედგა ქართული კინემატოგრაფიის აღორძინების მესვეურთ.

ელისაბედ ჩერქეზიშვილის მოღვაწეობა მარტო სცენით არ შემოიფარგლება. მისი პირველი მოთხრობა „პატარა სურათი“ 1888 წ. დაიბეჭდა ჟურნალში „თეატრი“. შემდეგი მოთხრობა „საბრალო ნენე“ ილიამ დაბეჭდა თავის „ივერიაში“. აქედან მოყოლებული იგი სისტემატურად აქვეყნებდა ჯერ მოთხრობებსა და ნოველებს, ხოლო შემდეგ დრამატულ ნაწარმოებებსაც: „სცენა სოფლად“, „მსხვერპლი უბედურებისა“, „საბრალო ნენე“, პიესა „სამოცი წლის არშიყი“ და სხვა. მასვე ეკუთვნის პუბლიცისტური და პოლემიკური ხასიათის წერილებიც. საინტერესოდ არის დაწერილი მისი მოგონებები, რომლის ფურცლებზეც მრავალი საგულისხმო და საინტერესო ფაქტია გადმოცემული.

ელისაბედ ჩერქეზიშვილს უყვარდა მოგზაურობა, წერდა დღიურებს. დაგვიტოვა უცხოეთში მოგზაურობის შესანიშნავი ჩანაწერები. ამ წერილების წყალობით ბევრი რამ შეგვიძლია შევიტყოთ იმდროინდელ ფრანგულ და გერმანულ თეატრებზე, მსახიობებზე, უბრალო ადამიანებზე, მათ ყოფა-ცხოვრებაზე. იმაზეც, თუ როგორ უყვარდა და ენატრებოდა ლიზას თავისი სამშობლო. ერთ-ერთ წერილში იგი ელო ანდრონიკაშვილს წერდა: „მშვენიერია პარიზი, დულს და გადმოდის, მაგრამ ძალიან მომწყინდა“. ელისაბედ ჩერქეზიშვილს ერთი დღეც ვერ წარმოედგინა უთეატროდ და ასეც მოხდა... 85 წლის მოხუცი, გასვლით სპექტაკლში მონაწილეობის მისაღებად, 1948 წლის 17 ოქტომბერს, ბოლნისში გამგზავრებისას, ავტოსადგურზე გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ელისაბედ ჩერქეზიშვილის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ქართული დრამატული საზოგადოების დასის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, მომავალ სეზონში მისი ქართულ დასში სამსახურის შესახებ. ქართული დრამატული საზოგადოების დასის გამგის ვას. სულაძის (?) ხელმოწერით.

1893 წ. 12 სექტემბერი. ტფილისი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

2. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის მდივნის ნ. ჟორდანიას წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, მიმდინარე სეზონის სპექტაკლებში მისი მონაწილეობის შესახებ.

1899 წ. 28 აგვისტო. ტფილისი. ხელნაწერი. ნ. ჟორდანიას ხელმოწერით. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის ბლანკიანი ფურცელი. შავი მელანი. 1 გვ.

3. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი. სთხოვს, აცნობოს მისი პირობები მომავალ სეზონში სპექტაკლებში მონაწილეობის შესახებ.

1901 წ. 9 ივლისი. ტფილისი. ხელნაწერი. გამგეობის თავმჯდომარის ხელმოწერით (გვარი გაურკვეველია). ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის ბლანკიანი ფურცელი. შავი მელანი. 1 გვ.

4. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ საღამომოში მისი მონაწილეობის შესახებ.

1902 წ. 19 დეკემბერი. ტფილისი. ხელნაწერი. საზოგადოების მდივნის ს. ფირცხალავას ხელმოწერით. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის ბლანკიანი ფურცელი. შავი მელანი. 1 გვ.

5. ქართული დრამატული საზოგადოების მიერ წაყენებული პირობები ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი დრამატულ დასში მოღვაწეობის დროს.

1902 წ. 5 ივლისი. ტფილისი. დასტამბული, შევსებული ხელით. ხელს აწერენ: გამგეობის თავმჯდომარე ნ. ქართველიშვილი და მდივანი გ. რცხილაძე. 1 გვ.

6. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, ქართულ დრამატულ დასში მისი მონაწილეობისა და პირობების შესახებ.

1903 წ. 18 ივლისი. ტფილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. ხელს აწერენ: თავმჯდომარე ნ. ქართველიშვილი, მდივანი გ. რცხილაძე. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის ბლანკიანი ფურცელი. მელანი. დაზიანებული. 1 გვ.

7. ქართული წარმოდგენების ამხანაგობის კომიტეტის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, დასში მისი შესვლის პირობების შესახებ.

1904 წ. 6 სექტემბერი. ტფილისი. დასტამბული, შევსებული ხელით. ხელს აწერენ: კომიტეტის თავმჯდომარე თ. ზაბერიძე (?), მდივანი – ი. ცინცაძე. ქართული წარმოდგენების გამგეობის ამხანაგობის კომიტეტის ბლანკიანი ფურცელი. ძლიერ დაზიანებული. 1 გვ.

8. გაზეთ „ივერიის“ რედაქტორის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, მისი ჩანაწერის „ევროპაში მოგზაურობის“ ერთად წაკითხვის შესახებ.

1905 წ. 11 მარტი. ტფილისი. ხელნაწერი. ხელს აწერს: მ. ადამაშვილი. გაზეთ „ივერიის“ რედაქციის ბლანკიანი ფურცელი. შავი მელანი. 2 გვ.

9. ილია ჭავჭავაძის გასვენებაზე მისულ დელეგატთა კრების ოქმი. კრებამ დაადგინა შემდეგი ღონისძიებები: ტფილისში ერევნის მოედანზე, დაიდგას ილია ჭავჭავაძის ძეგლი, შეიკრიბოს ერთობლივი თანხა ილია ჭავჭავაძის სახელზე, რომელიც მოხმარდება ქართული ლიტერატურისა და სწავლა-განათლების გავრცელებას. ამის ორგანიზება კი დაევალოს ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. სხვადასხვა ორგანიზაციებსა და კერძო პირებს ყოველწლიურად დაევალოს ამ ფონდის შევსება.

1907 წ. 9 სექტემბერი. ტფილისი. დასტამბული. ელისაბედ ჩერქეზიშვილის მინაწერით. შავი მელანი. ასლი. 1 გვ.

10. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, მადლობას უხდის მის მიერ საზოგადოებისთვის საჩუქრად გადაცემული რუსულ-ფრანგული წიგნებისთვის ნიკოლოზ ხიზანიშვილის (ელისაბედ ჩერქეზიშვილის მეუღლე) წიგნსაცავიდან.

1907 წ. 2 ნოემბერი. ტფილისი. ხელნაწერი. მელანი, ფანქარი. ხელს აწერენ: საზოგადოების თავმჯდომარე – ექვთიმე თაყაიშვილი, მდივანი – ს. გიორგაძე. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ბლანკიანი, ბეჭედდასმული, ჭვირნიშნის ფურცელი. მეორე გვერდზე ელისაბედ ჩერქეზიშვილი. ავტოგრაფული მინაწერი. დაზიანებული. 1 გვ.

11. ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად შემდგარ ქალთა წრის კომისიის თავმჯდომარის ნ. ბ. ყიფიანის და ხაზინადარ ეკ. გაბაშვილის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, ილია ჭავჭავაძის დასაფლავებაზე სხვადასხვა კუთხიდან მოსულ დელეგატთა გადამწყვეტილების ოქმის თაობაზე.

1907 წ. ტფილისი. დასტამბული. 1 გვ.

12. წესები ქართულ დრამატულ საზოგადოების დასში მყოფ სცენის მოღვაწეთათვის. შევსებულია ვასილ აბაშიძის სახელზე.

1908 წ. ტფილისი დასტამბული. შევსებული ხელით. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: გამგეობის თავმჯდომარე – ალ. ჯაფარიძე. შავი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 33 გვ.

13. წესები ქართულ დრამატულ საზოგადოების დასში მყოფ სცენის მოღვაწეთათვის. შევსებული ელისაბედ ჩერქეზიშვილის სახელზე.

1908-1909 წწ. სეზონი. ტფილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. შავი მელანი. ხელს აწერს: გამგეობის თავმჯდომარე – გ. ჯაში. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე 30 გვ.

14. ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლის ქართული წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, წრის მიერ დადგმულ სპექტაკლ „ხანუმაში“ ხანუმას როლის შესრულების შესახებ.

1910 წ. 8 თებერვალი. ტფილისი. ხელნაწერი. შავი მელანი. ხელს აწერს: რეჟისორის თანაშემწე – ალ. გუგუშვილი. ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლის ქართული წარმოდგენების მმართველი წრის ბლანკიანი ფურცელი. 1 გვ.

15. აკაკი წერეთლის საიუბილეო კომიტეტის წევრების წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილს. სთხოვენ მსახიობისადმი დაწეროს მოგონება კრებულისთვის „აკაკის იუბილის სახსოვარი“.

პირი: ს. მაგლობლიშვილი, ივ. გომართელი, ს. ფირცხალავა.
1910 წ. 10 ოქტომბერი. ტფილისი. დასტამბული. შავი მელანი. მინაწერით. 1 გვ.

16. პირობა დადებული ქართულ დრამატულ საზოგადოებასა და ელისაბედ ჩერქეზიშვილს შორის, დრამატულ დასში მისი მსახიობად შესვლის შესახებ.

1910 წ. 12 ივნისი. ტფილისი. დასტამბული, შევსებული ხელით. შავი მელანი. ხელს აწერენ: ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე – ნ. ქართველიშვილი, მდივნის მაგიერ – იოსებ იმედაშვილი და ელისაბედ ჩერქეზიშვილი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

17. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცვლებელი საზოგადოების ბაქოს ფილიალის განყოფილების წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი ბაქოში ქართულ საღამოზე მონაწილეობის მიღების თხოვნის შესახებ.

1911 წ. 2. იანვარი. ტფილისი. ხელნაწერი. შავი მელანი. ხელს აწერს: გამგეობის თავმჯდომარე: ს. კვიციანი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს ფილიალური განყოფილების ბლანკიანი ფურცელი. დაზიანებული. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

18. პირობა დადებული ქართულ დრამატულ საზოგადოებასა და ელისაბედ ჩერქეზიშვილს შორის, დრამატულ დასში მისი მსახიობად შესვლის შესახებ.

1912 წ. 16 ივლისი ტფილისი. დასტამბული, შევსებული ხელით. შავი მელანი. ხელს

ანერენ: საზოგადოების თავმჯდომარე – ნ. ქართველიშვილი. მდივანი: ერისთავი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

19. ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლის ქართული წარმოდგენების მმართველი წრის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი. დ. სოსლანის პიესა „სცენები მთავროვი სუდიასთან“ ელენა მახაროვნას როლის შესრულების თხოვნის შესახებ.

1912 წ. 11 სექტემბერი. ტფილისი. ხელნაწერი. შავი მელანი. ხელს ანერს გამგეობის რწმუნებული (გვარი არ იკითხება). ბლანკი. დაზიანებული. 1 გვ.

20. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლის ქართული წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობის წევრის გიორგი ჯაბაურის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, სპექტაკლ „დედისერთაში“ მონაწილეობის მიღების შესახებ.

1913 წ. 16 თებერვალ. ტფილისი. ხელნაწერი. შავი მელანი. გიორგი ჯაბაურის ხელმოწერით. ბლანკი. 1 გვ.

21. ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლის ქართული წარმოდგენების მმართველი წრის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, მათ მიერ დადგმულ სპექტაკლ „ხანუმაში“ ხანუმას როლის შესრულების თხოვნის შესახებ.

1913 წ. 2 მარტი. ტფილისი. ხელნაწერი. შავი მელანი. გიორგი ჯაბაურის ხელმოწერით. ბლანკი. 1 გვ.

22. პირობა დადებული ქართულ დრამატულ საზოგადოებასა და ელისაბედ ჩერქეზიშვილს შორის, საზოგადოების დრამატულ დასში მისი მსახიობად შესვლის შესახებ.

1913 წ. 15 აგვისტო. ტფილისი. დასტამბული. შავი მელანი. ხელს ანერენ: საზოგადოების თავმჯდომარის მაგიერ – თ. ნ. ერაძე, მდივანი – ი. გედევანიშვილი და ელისაბედ ჩერქეზიშვილი. 1 გვ.

23. ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლთან არსებული ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი. 1913-1914 წწ. წრის სეზონის წარმოდგენებში მსახიობის მონაწილეობის შესახებ.

1913 წ. 27 აგვისტო. ტფილისი. დასტამბული. შავი მელანი. ბლანკი. ხელს ანერენ: გამგეობის თავმჯდომარე – ანა მაჩაბელი, მდივნის მაგიერ – ნ. ჭანკვატაძე. ბეჭედდასმული. ჭვირნიშნის ფურცელი. 1 გვ.

24. ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლის ქართული წარმოდგენების მმართველი წრის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, ალ. ყაზბეგის პიესა „არსენაში“ სიდონიას როლის შესრულების შესახებ.

1913 წ. 13 დეკემბერი. ტფილისი. ხელნაწერი. შავი მელანი. ბლანკი. ხელს ანერს: რეჟისორის თანაშემწე – ალ. გუგუშვილი. ჭვირნიშნის. ბეჭედდასმული. 1 გვ.

25. წესები ქართულ დრამატულ საზოგადოების დასში მყოფ სცენის მოღვაწეთათვის. შევსებული ელისაბედ ჩერქეზიშვილის სახელზე.

1913-1914 წწ. თბილისი. ხელნაწერი. შავი მელანი. დასტამბული. ხელს ანერს: გამგეობის თავმჯდომარე – ი. გედევანიშვილი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 32 გვ.

26. ხარფუხის ქართული დრამატული წრის გამგეობის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი. წრის მიერ დადგმულ სპექტაკლ „ორ ობოლში“ მონაწილეობის მიღების შესახებ.

1914 წ. 21 თებერვალი. ტფილისი. ბლანკი. ხელნაწერი. შავი მელანი. ხელს ანერენ: გამგეობის თავმჯდომარე – გ. მ. შათირიშვილი, რეჟისორი (გვარი არ იკითხება). გამგეობის მდივანი: (გვარი არ იკითხება). 1 გვ.

27. პირობა დადებული ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობასა და ელისაბედ ჩერქეზიშვილს შორის მისი დასში ჩარიცხვის შესახებ.

1914 წ. 1 მაისი. ტფილისი. დასტამბული, შევსებული ხელით. შავი მელანი. ხელს ანერენ: გამგეობის თავმჯდომარე – თ. ერისთავი, მდივანი: ი. გედევანიშვილი და ელისაბედ ჩერქეზიშვილი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

28. ელისაბედ ჩერქეზიშვილის ყრილობის წევრობის მონაწილეობა ქართულ სცენისმოღ-

ვანეთა პირველ ყრილობაზე.

1914 წ. 8 ივნისი. ტფილისი. დასტამბული, შევსებული ხელით. შავი მელანი. ხელს აწერს ტფილისის ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე: (გვარი არ იკითხება). შავი მელანი. 1 გვ.

29. გაზეთ „სახალხო ფურცლის“ რედაქციის თხოვნა ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი ლიტერატურული მასალის მიწოდების შესახებ გაზეთის 14 იანვრის ნომერში დასაბუქდად.

1916 წ. 3 იანვარი. ტფილისი. ბლანკი. ხელნაწერი. შავი მელანი. ჭვირნიშნის ფურცელი. 1 გვ.

30. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი. ატყობინებენ, რომ 1916 წლის 2 თებერვალს სახაზინო თეატრში დანიშნულია საიუბილეო წარმოდგენა მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წელთან დაკავშირებით. მეორე გვერდზე ელისაბედ ჩერქეზიშვილის ავტოგრაფი.

პირი: დღესასწაულის მომწყობი კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ა. ტარსაიძე; ხაზინადარი: ა. ბ. შიხინოვი, მდივანი: პ. მ. კახიანი, კომიტეტის წევრები: ა. ანდრონიკაშვილი, ე. აფხაზი, ნ. მაკარაშვილი, თ. მაყაშვილი, ა. მაჩაბელი, ნ. ყიფიანი, თ. ცისკარიშვილი, ს. ჯანდერი, შ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, ა. ახნაზაროვი, ო. ბარათაშვილი, ი. გედევანიშვილი, ვ. გუნია, ნ. ერისთავი, მ. ჟურული, პ. თუმანიშვილი, შ. მიქელაძე. 1916 წ. იანვარი. ტფილისი. დასტამბული. შავი მელანი. 2 გვ

31. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, სახალხო სეირნობის გამართვის საქმეში მისი მონაწილეობის მიღების შესახებ.

პირი: ნ. ნაკაშიძე, ვ. ბურჯანაძე. 1917 წ. 4 მაისი. ტფილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ

32. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრის – ნინო ნაკაშიძის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, სახალხო სეირნობის გამართვის საქმეში მისი მონაწილეობის მიღების შესახებ.

პირი: ნ. ნაკაშიძე, ვ. ბურჯანაძე. 1919 წ. 28 მაისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.

33. ტფილისის ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, მათ მიერ დადგმულ სპექტაკლში „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“ ელისაბედის როლის შესრულების შესახებ.

1919 წ. 14 აგვისტო ტფილისი. ბლანკი. ხელნაწერი. შავი მელანი ხელს აწერენ: პროფკავშირების თავმჯდომარე – მეფარიშვილი, მდივანი – ჩაჩუა. 1 გვ.

34. ხელშეკრულება დადებული ელისაბედ ჩერქეზიშვილსა და ქართულ დრამატულ საზოგადოებას შორის, ქართულ დრამატულ დასში მისი ჩარიცხვის შესახებ.

1920 წ. 15 ივლისი. ტფილისი. დასტამბული, შევსებული ხელით. შავი მელანი. ხელს აწერენ: გამგეობის თავმჯდომარე – ივ. გომარეთელი და ელისაბ ჩერქეზიშვილი. ელისაბედ ჩერქეზიშვილის ავტოგრაფული მინაწერით. დაზიანებული. 1 გვ.

35. მონაწილეობა ელისაბედ ჩერქეზიშვილისათვის შვებულების მიცემის შესახებ.

1921 წ. 31 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. გაცემული და დამოწმებული გამგის (გვარი არ იკითხება) და საქმეთა მმართველის: შ. აფხაიძის მიერ. სსსრ სახალხო განათლების კომისარიატის ხელოვნების განყოფილების ბლანკი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

36. ელისაბედ ჩერქეზიშვილის განცხადება სანახაობითი ნაწილის გამგისადმი ითხოვს ორკვირიან შვებულებას წალვერის საქმესთან დაკავშირებით.

1921 წ. 25 სექტემბერი. ტფილისი. ავტოგრაფი. ელისაბედ ჩერქეზიშვილის ხელმოწერით. ადევს რეზოლუცია (გვარი არ იკითხება). წითელი, ლურჯი მელანი. 1 გვ.

37. სანახაობითი ნაწილის გამგის ბარათი სახელმწიფო დრამის გამგისადმი. აცნობებს, რომ ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი მიეცა ორკვირიანი შვებულების მიცემის შესახებ.

1921 წ. 27 სექტემბერი. ტფილისი. ხელნაწერი. წითელი მელანი. ხელს აწერს: გელოვანი. 1 გვ.

38. საბჭოთა საქართველოს მთავრობის კანცელარიის შეტყობინება სახალხო განათლების კომისარიატისადმი, ელისაბედ ჩერქეზიშვილის განცხადების განხილვის თაობაზე, მისთვის კუთვნილი გაძლიერებული ულუფისა და პენსიის დანიშვნის გამო.

1921 წ. 21 ოქტომბერი. თბილისი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ კანცელარიის უფროსი და საქმის მწარმოებელი: (გვარები არ იკითხება). ადევს რეზოლუცია: „აკადემიურ ცენტრში ხელოვნების განყოფილებისათვის“. ბეჭედდასმული. მელანი, წითელი ფანქარი. 1 გვ.

39. ელისაბედ ჩერქეზიშვილის განცხადება საქართველოს რევკომის თავმჯდომარისადმი. სთხოვს, დროულად გასცეს განკარგულება მისთვის კუთვნილი გაზრდილი ულუფისა და პენსიის დანიშვნის შესახებ.

1921 წ. 22 ოქტომბერი. ტფილისი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. წითელი, იისფერი მელანი. ელისაბედ ჩერქეზიშვილის ხელმოწერით. ადევს რეზოლუცია. განათლების სახალხო კომისარიატის სახელზე. ბეჭედდასმული.

40. სახალხო განათლების კომისარიატის მთავარი სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარის პასუხი სსსრ რევოლუციური კომიტეტისადმი. ატყობინებენ, რომ მათი მომართვის საფუძველზე ელისაბედ ჩერქეზიშვილს დაენიშნება პენსია, ხოლო გაზრდილი ულუფით დაკმაყოფილება დროებით შეჩერებულია ულუფათა რიცხვის სიმცირის გამო.

1921 წ. 5 ნოემბერი თბილისი. ნაბეჭდი. 2 გვ.

41. ვასო აბაშიძის საიუბილეო კომიტეტის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი. სთხოვენ რუსთაველის თეატრში მიზრძანებას, ვასო აბაშიძის სახლიდან თეატრში მიყვანასა და მის სცენაზე გამოყვანას.

1922 წ. 14 იანვარი. ტფილისი. ბლანკი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. წითელი, ლურჯი მელანი. ხელს აწერენ საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე: (გვარი არ იკითხება) და მდივანი – ვ. ჯიქია. 1 გვ.

42. ელისაბედ ჩერქეზიშვილის განცხადება აკადემიური თეატრების გამგეობისადმი, მისთვის ავანსის სახით ორი თვის ხელფასის გაცემის თაობაზე.

1922 წ. 30 აპრილი. ტფილისი. ავტოგრაფი. ელისაბედ ჩერქეზიშვილის ხელმოწერით. შავი მელანი. დაზიანებული. 1 გვ.

43. ელისაბედ ჩერქეზიშვილის განცხადება აკადემიური თეატრების მმართველისადმი, მისთვის ავანსის სახით სამი თვის ხელფასის გაცემის თაობაზე.

1922 წ. 26 მაისი. ტფილისი. ავტოგრაფი. იისფერი მელანი. ელისაბედ ჩერქეზიშვილის ხელმოწერით. დაზიანებული. 1 გვ.

44. ქართული დრამატული დასის გამგეობის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი. ატყობინებენ ქართული სახალხო დრამატული დასის დაარსების 30 წლის იუბილეს გამართვისა და მისი საიუბილეო კომიტეტის წევრად არჩევას.

1923 წ. 3 მაისი. ტფილისი. ბლანკი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. მელანი. ხელს აწერენ გამგეობის თავმჯდომარე და გამგეობის წევრი – რწმუნებული (გვარები არ იკითხება). 1 გვ.

45. პირობა დადებული ქუთაისის მაზრის განათლების განყოფილების გამგეობასა და ელისაბედ ჩერქეზიშვილს შორის, ქუთაისის ქართულ დრამატულ დასში მისი სამსახურის შესახებ.

1923 წ. 15 ივლისი. დასტამბული. შევსებული ხელით. შავი, წითელი მელანი. ხელს აწერენ: ქუთაისის მაზრის განყოფილების გამგე: (გვარი არ იკითხება), თეატრის გამგე: გ. თუთბერიძე, დასის ხელმძღვანელი: ი. ზარდალიშვილი. 2 გვ.

46. პლეხანოვის კლუბის გამგეობის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, საიუბილეო კომისიაში არჩევის შესახებ ნიკო გოცირიძის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს გამართვასთან დაკავშირებით.

1925 წ. ტფილისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. წითელი, შავი მელანი. ხელს აწერს კლუბის გამგე: (გვარი არ იკითხება). 1 გვ.

47. საქართველოს სსრ ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის ცნობა. ელისაბედ ჩერქეზიშვილისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.

1926 წ. 6 აპრილი. ტფილისი. ნაბეჭდი. წითელი მელანი. ხელს აწერენ: თავმჯდომარე ქურიძე, საქმეთა მმართველი – ჩოჩიევი. ასლი. დამონმებული დედანთან ს. ბახტაძის (?) მიერ. ბეჭედდასმული. 1 გვ.

48. ამონაწერი სახალხო კომისართა საბჭოს სხდომის ოქმიდან გაგზვნილი ს. გედევანიშვილისადმი. ელისაბედ ჩერქეზიშვილისთვის საქართველოს სსრ სახალხო მსახიობის წოდების მინიჭებისა და ერთჯერადი დახმარების 500 მანეთის გაცემის შესახებ.

1926 წ. 7 აპრილი. ტფილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: თავმჯდომარე ს. ჯუღელი, საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე და მდივანი – ა. ლომიძე. ასლი. დამონმებული დედანთან ს. ბახტაძის ხელმოწერით. ბეჭედდასმული. წითელი მელანი. 1 გვ.

49. სახკინმრეწვის ხელშეკრულება ელისაბედ ჩერქეზიშვილთან, კინოფილმ „ხანუმაში“ მონაწილეობის შესახებ.

1926 წ. 20 აპრილი ტფილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს გამგეობის წევრი კ. ანდრონიკაშვილი. 2 გვ.

50. სახკინმრეწვის ხელშეკრულება ელისაბედ ჩერქეზიშვილთან, კინოფილმ „ორ მონადირეში“ მონაწილეობის შესახებ.

1926 წ. 20 აპრილი ტფილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს გამგეობის წევრი: კ. ანდრონიკაშვილი. 2 გვ.

51. გორის დრამატული წრის საზოგადო კრების ოქმის ამონაწერი დადგენილებით: გადაეცეს სიგელი და მცირე ნობათი ელისაბედ ჩერქეზიშვილს სასცენო მოღვაწეობის 45 წლის საიუბილეო საღამოზე და არჩეულ იქნეს გორის დრამატული წრის საპატიო თავმჯდომარედ.

1926 წ. 14 მაისი. გორი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: დრამატული წრის თავმჯდომარე სერ. გერ...(?), და გამგეობის წევრები: ალ. კიკნაძე, დ. აბდუშვილი, მდივანი: შ. კორინთელი. მელანი. 1 გვ.

52. თელავის ქართული დრამატული კოლექტივის ბარათი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი. ატყობინებენ უახლოეს ხანში მისი იუბილეს გამართვის სურვილს. წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი „ხანუმა“.

1926 წ. 25 მაისი. თელავი. ბლანკი. ხელნაწერი. შავი მელანი. ხელს აწერს: კოლექტივის თავმჯდომარე მიხ. ხერხეულიძე და მდივანი დ. რევაზიშვილი (?). 1 გვ.

53. ცნობა ელისაბედ ჩერქეზიშვილის საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის წევრობისა.

1927 წ. 6 აპრილი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: საქმეთა მმართველი გაჩეჩილაძე და სტატისტიკოსი თ. სიმპლიცკაია. ბლანკი. ბეჭედდასმული. ლურჯი და წითელი მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

54. სახკინმრეწვის ხელშეკრულება ელისაბედ ჩერქეზიშვილთან კინოსტუდიაში სამუშაოდ მიწვევის შესახებ.

1927 წ. 25 მაისი. ტფილისი. მელანი. ასლი დამონმებული დედანთან (გვარი არ იკითხება). ახლავს ელისაბედ ჩერქეზიშვილის ავტოგრაფული მინაწერი.

55. ელისაბედ ჩერქეზიშვილის მიერ სათეატრო მუზეუმისთვის გადაცემული ნივთების სია, დავით არსენიშვილის დასტური და მაღლობა ამის თაობაზე.

1927 წ. 10 დეკემბერი. ტფილისი. ფანქარი. ხელნაწერი. ხელს აწერს: დავით არსენიშვილი. მეორე გვერდზე ელისაბედ ჩერქეზიშვილის მინაწერი. დაზიანებული. 2 გვ.

56. სსრ წალვერის თემსაბჭოს პრეზიდიუმის თხოვნა ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, წალვერში გამართულ საღამოზე მისი მონაწილეობის მიღების შესახებ.

პირი: ჟივიძე.
1928 წ. 7 სექტემბერი. ბლანკი. ხელნაწერი. შავი, წითელი მელანი ხელს აწერენ: აღმასკომის თავმჯდომარე (გვარი არ იკითხება), მდივანი ვ. ლომიაძე. 1 გვ.

57. მონაწილის ასლი ვიზისათვის და სამედიცინო კომისიის დასკვნა ელისაბედ ჩერქეზიშვილის საზღვარგარეთ (საფრანგეთში) სამკურნალოდ წასვლის გამო.

1928 წ. 14 დეკემბერი. ტფილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კომისიის თავმჯდომარე ფრან-

გულიანი. კომისიის წევრები: ყიფშიძე, პონდოვეი, ზანდუკელი. კანცელარიის გამგე: გიორგობიანი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 2 გვ.

58. „სახკინმრეწვის“ ხელშეკრულება ელისაბედ ჩერქეზიშვილთან მსახიობის კინო-ფილმ „შეხვედრაში“ მონაწილეობის შესახებ.

1929 წ. 6 აპრილი. ტფილისი. ნაბეჭდი. შევსებული ხელით. მელანი. ხელს აწერენ: გამგეობის თავმჯდომარე ნ. ამირაგოვი, წარმოების დირექტორი ბრუსილოვსკი და ელისაბედ ჩერქეზიშვილი. 2 გვ.

59. ელისაბედ ჩერქეზიშვილის ხელწერილი ი. ტატიშვილისთვის მისი მეუღლის ნიკო ხიზანიშვილის ნაწერების გადაცემაზე და ი. ტატიშვილის დასტური მიღებაზე.

1931 წ. 9 აპრილი. ტფილისი. ელისაბედ ჩერქეზიშვილისა და ი. ტატიშვილის ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

60. „სახკინმრეწვის“ შრომითი ხელშეკრულება ელისაბედ ჩერქეზიშვილთან კინო-ფილმ „კოლხიდაში“ მისი მონაწილეობის შესახებ.

1931 წ. 20 აგვისტო. ტფილისი. ნაბეჭდი. დასტამბული. ხელს აწერენ: წარმოების დირექტორი ე. ხაჩიძე, გამგეობის თავმჯდომარე (გვარი არ იკითხება) და ელისაბედ ჩერქეზიშვილი. 2 გვ.

61. მოწმობა ელისაბედ ჩერქეზიშვილისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის სახელწოდების მინიჭების შესახებ. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1926 წლის 7 აპრილის დადგენილების საფუძველზე.

1933 წ. 28 თებერვალი. ტფილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: საქმეთა მმართველი რ. შომახია, საერთო განყოფილების გამგე ი. ჯანელიძე. ახლავს ელისაბედ ჩერქეზიშვილის ფოტოსურათი. 1 ც.

62. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორის ბორის ქევანიშვილის ხელშეკრულება ელისაბედ ჩერქეზიშვილთან. თეატრის გასტროლებზე ქუთაისსა და ზუგდიდში ზურაბ ანტონოვის პიესა „მზის დაბნელებაში“ მისი მონაწილეობის შესახებ.

1933 წ. 27 მაისი. ტფილისი. ხელს აწერენ: ელისაბედ ჩერქეზიშვილი და ბორის ქევანიშვილი. 1 გვ.

63. ჩერქეზიშვილის ურთიერთდამხმარე სალაროს წიგნაკი.

1935 წ. ტფილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. ხელს აწერენ: სალაროს გამგე, თავმჯდომარე და მდივანი (გვარები არ იკითხება). ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 20 გვ.

64. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორისა და სამხატვრო ნაწილის პ. დადვაძის ბარათი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი. ატყობინებს თეატრში კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალების ორი წლისთავთან დაკავშირებული კრების თარიღს და სთხოვს მოგონებებით გამოსვლას.

1935 წ. 16 აპრილი. ტფილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. მელანი. ხელს აწერს: პ. დადვაძე. 1 გვ.

65. საქართველოს სათეატრო მუზეუმის დირექტორის ლ. კანდელაკის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი. აცნობებს რომ მუზეუმი შეუდგა ქართული თეატრის ისტორიის ამსახველი მასალების შეგროვებას და სთხოვს მიაწოდოს მასალა მისი მოღვაწეობის შესახებ, ასევე პიესა „რევიზორის“ ქართული ვარიანტი. პირდება ჰონორარს. მეორე გვერდზე ელისაბედ ჩერქეზიშვილის ხელით მინაწერი.

პირი: ს. ანანიშვილი.

1936 წ. 5 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. მელანი. 2 გვ.

66. „სახკინმრეწვის“ უწყება ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი. სთხოვენ, რეჟისორ მიხეილ ჭიაურელთან გადაღებაზე გამოცხადებას.

1936 წ. 20 ივნისი. თბილისი. ხელმოწერილი. გვარი არ იკითხება. მელანი. 1 ც.

67. ელისაბედ ჩერქეზიშვილის პასპორტი გაცემული თბილისის მე-11 სამ. განყოფილების საპასპორტო მაგიდის მიერ.

1936 წ. 11 სექტემბერი. თბილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. ხელს აწერენ: მილიციის უფროსი და საპასპორტო მაგიდის უფროსი: (გვარები არ იკითხება). ახლავს ელისაბედ ჩერქეზიშვილის ფოტოსურათი. პასპორტი ძალაშია 1943 წლის 19 ივნისამდე. ბე-

ჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 9 გვ.

68. საქართველოს სსრ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი. ელისაბედ ჩერქეზიშვილის სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით თანხების გამოყოფის შესახებ.

პირი: გ. მაგლოზიშვილი, ს. მეზუკე.

1937 წ. 8 თებერვალი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. დამონ-მებული. დაზიანებული. 1 გვ.

69. ელისაბედ ჩერქეზიშვილის სასცენო მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნავი საიუბი-ლეო კომისიის სხდომის ოქმი.

პირი: ნიკო გოცირიძე, შალვა დადიანი, დიმიტრი არაყიშვილი, დოდო ანთაძე, თამარ ჭავჭავაძე, შალვა ღამბაშიძე, ვიქტორ ნინიძე, ვასო ურუშაძე, ალექსანდრე თაყაიშვილი, ილო მოსაშვილი.

1937 წ. 15 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: თავმჯდომარე აკ. თათარიშვილი, მდივანი დ. ჩხეიძე. 3 გვ.

70. რუსთაველის თეატრის დირექტორის მოდგის გ. გუგუნავას წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი ჰონორარის თაობაზე.

1937 წ. 8 აპრილი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერს: გ. გუგუნავა. 1 გვ.

71. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის შეტყობინება ელისაბედ ჩერ-ქეზიშვილის საიუბილეო საღამოს პრეზიდენტიადმი. აცნობებენ, რომ ელისაბედ ჩერქეზიშ-ვილის სასცენო მოღვაწეობის 50 წლის საიუბილეო საღამოზე, მათი სახელით მისასალმებ-ელ სიტყვას წარმოთქვამს პასუხისმგებელი მუშაკი გ. გოგუაძე და საჩუქრად გადასცემს 100 მანეთს.

1937 წ. 8 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: განათლების სახალხო კომისარი კ. ჭკუასელი. 1 გვ.

72. აქტი ელისაბედ ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის 50 წლის საიუბილეო საღამოზე სანკულტურის თეატრში გაყიდული ბილეთების რაოდენობის შესახებ.

1937 წ. 31 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: თეატრის დირექტორი (გვარი არ იკითხება).

ადმინისტრატორები: მ. მეძმარიაშვილი და მეორე გვარი არ იკითხება. მელანი. ფანქარი. 1 გვ.

73. მარჯანიშვილის თეატრის დირექციის შეტყობინება ელისაბედ ჩერქეზიშვილისად-მი. სთხოვენ მარჯანიშვილის დირექტორისა და სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელის კაბი-ნეტში გამოცხადებას.

1937 წ. 3 ივნისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: საქმეთა მმართველი ე. გურ-გენიძე. შავი მელანი. 1 გვ.

74. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სახელით, ორკესტრის დირიჟორ ევგენი მიქელაძის მილოცვა ელისაბედ ჩერქეზიშვილისად-მი, მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ულოცავენ ღირშესანიშნავ თარიღს და ორკესტრის დირექციის სახელით საჩუქრად გადასცემს ათას მანეთს.

1937 წ. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერს: ევგენი მიქელაძე. მარჯანიშვილის თეატრის ადმინისტრატორის ბლანკიანი ფურცელი. 1 გვ.

75. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორისა და სამხ-ატვრო ნაწილის ხელმძღვანელის შ. ღამბაშიძის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, ზამთრის არდადეგების განმავლობაში მსახიობის სკოლებში მიმავლების შესახებ.

პირი: შაქრო გომელაური, თამარ ჭავჭავაძე, ნიკო გოცირიძე, ტასო აბაშიძე.

1939 წ. 3 იანვარი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: შალვა ღამბაშიძე. 1 გვ.

76. ელისაბედ ჩერქეზიშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

1939 წ. 26 ივნისი. თბილისი. დასტამბული, შევსებული ავტოგრაფით. მელანი. წითელი ფანქარი ბეჭედდასმული. ამონებს: ხელმწიფე არ იკითხება. 4 გვ.

77. ელისაბედ ჩერქეზიშვილის მოკლე ავტობიოგრაფია.

1939 წ. 21 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

78. ელისაბედ ჩერქეზიშვილის ავტობიოგრაფია.
1940 წ. 21 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს ელისაბედ ჩერქეზიშვილი. მელანი. 1 გვ.
79. მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ფედერაციის“ გამგის რაჭდენ გვეტაძისა ხელშეკრულება ელისაბედ ჩერქეზიშვილსა და დავით კასრაძესთან, მათ მიერ დაწერილი ნაწარმოების „ჩერქეზიშვილის მოგონებანის“ გამოცემის თაობაზე.
1940 წ. 3 ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. დასტამბული. ასლი დამონმებული დედანთან. ტუსკიას ხელმოწერით. 1 გვ.
80. თბილისის კინოსტუდიის ხელშეკრულება ელისაბედ ჩერქეზიშვილთან მსახიობის კინოფილმში – „საზღვარზე“ – მონაწილეობის შესახებ.
1940 წ. 4 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. შევსებული ხელით. მელანი. ხელს აწერენ: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ჭიჭინაძე, შ. მანაგაძე. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
81. მოწმობა ელისაბედ ჩერქეზიშვილის საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოების შესახებ. სთხოვენ მას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა სამმართველოში გამოცხადებას, სამი დამონმებული ფოტოსურათითა და ავტობიოგრაფიით.
1941 წ. 15 აპრილი. თბილისი. ბლანკი. შევსებული ხელით. ფანქარი. ხელს აწერს საქმეთა მმართველი: ნ. სუხიაშვილი. 1 გვ.
82. ელისაბედ ჩერქეზიშვილის ავტობიოგრაფია.
1941 წ. 19 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.
83. ელისაბედ ჩერქეზიშვილის ავტობიოგრაფია.
1941 წ. 21 აპრილი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. ე. ბერიაშვილის მინაწერით და ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 3 გვ.
84. უწყება ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, თბილისის კინოსტუდიაში გადაღებაზე გამოცხადების შესახებ.
1943 წ. 7 აპრილი. თბილისი. დასტამბული, შევსებული ხელით. მელანი. 1 ც.
85. ამონაწერი მარჯანიშვილის თეატრის დირექციის ბრძანებიდან ელისაბედ ჩერქეზიშვილსთვის მადლობის გამოცხადების შესახებ ავადმყოფობის მიუხედავად სპექტაკლში მონაწილეობის მიღებისათვის.
1943 წ. 6 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი მ. ლამბაშიძე, საქმეთა მმართველი გურგენიძე. ბეჭედდასმული. მელანი. ცისფერი ფანქარი. 1 გვ.
86. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის შ. ლამბაშიძის ბრძანება. ელისაბედ ჩერქეზიშვილისა და აკაკი კვანტალიანისთვის მადლობის გამოცხადების შესახებ. მათი ავადმყოფობის მიუხედავად სპექტაკლში მონაწილეობის გამო.
1943 წ. 6 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი დამონმებული დედანთან (გვარი არ იკითხება) ბეჭედდასმული. 1 გვ.
87. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო განყოფილების გამგის, კობელის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი. სომხური თეატრის დარბაზში გამართულ კონცერტზე ელისაბედ ჩერქეზიშვილისა და ნიკო გოცირიძის მონაწილეობის შესახებ.
1944 წ. 4 ოქტომბერი. თბილისი. ბლანკი. ხელს აწერს: ვ. კობელი. მელანი. ცისფერი ფანქარი.
1 გვ.
88. ელისაბედ ჩერქეზიშვილის ორდენის წიგნაკთან თანმხლები მატარებლით მგზავრობის ერთჯერადი ბილეთი, თბილისი-ბათუმი.
1945 წ. დასტამბული. შევსებული ხელით. მელანი. 1 გვ.
89. მოწმობა ელისაბედ ჩერქეზიშვილის მედლით – „კავკასიის დაცვისათვის“ დაჯილდოების შესახებ. სსსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 1 მაისის დადგენილების საფუძველზე.

1945 წ. 20 ნოემბერი. თბილისი. ბლანკი. დასტამბული. შევსებული ხელით. შავი მელანი. ხელს აწერენ: თავმჯდომარე გ. სტურუა და პრეზიდიუმის მდივანი: ვ. ეგნატაშვილი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

90. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორ ივ. გვინჩიძის ბრძანება, ელისაბედ ჩერქეზიშვილის სასცენო მოღვაწეობის 60 წლის აღსანიშნავი საიუბილეო საღამოს მოწყობის შესახებ.

პირი: ვ. ანჯაფარიძე, ს. მაჭარიძე, ბ. გამრეკელი, შ. ჯაფარიძე, ვ. ყუშიტაშვილი, პ. კობახიძე, გ. ფრონისპირელი.

1946 წლის 25 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს ივ. გვინჩიძე. ბეჭედდასმული. დამონმებული (გვარი არ იკითხება). 1 გვ.

91. მონაშობა, ელისაბედ ჩერქეზიშვილის მედლით – „თავდადებული შრომისათვის დიდ სამამულო ომში“ დაჯილდოების შესახებ. სსსრ უმაღლესი საბჭოს 1945 წლის 6 ივნისის განკარგულების საფუძველზე.

1946 წ. 21 თებერვალი. თბილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. შავი მელანი. ხელს აწერს რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ჭელიძე. 1 ც.

92. ივანე გვინჩიძის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი ხელფასისა და საგზურის თაობაზე.

1946 წ. 10 სექტემბერი. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერს: ვ. გვინჩიძე. 1 გვ.

93. ელისაბედ ჩერქეზიშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

1946 წ. 20 სექტემბერი. თბილისი. მელანი. დასტამბული. ავტოგრაფით. ელისაბედ ჩერქეზიშვილის ხელმოწერას ადასტურებს პარტბიუროს მდივანი: ივ. გვინჩიძე. ბეჭედდასმული. იისფერი ფანქარი. 3 გვ.

94. ელისაბედ ჩერქეზიშვილის ავტობიოგრაფია.

1946 წ. 21 სექტემბერი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

95. სსსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს შეტყობინება საქართველოს მინისტრთა საბჭოსადმი. ელისაბედ ჩერქეზიშვილის დაბადებიდან 80 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წ. 5 მარტის დადგენილების საფუძველზე მისი ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ. ითხოვენ ნებართვას გამართონ მსახიობის საიუბილეო საღამო.

1947 წ. 10 მარტი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს სამმართველოს უფროსი რ. შადური. რუსულ ენაზე. 1 გვ.

96. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ელისაბედ ჩერქეზიშვილის დაბადებიდან 80 წლისა და მოღვაწეობის 60 წლის საღამოს კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში გამართვის შესახებ.

პირი: ზ. ჩხუბიანიშვილი, ს. როსტიაშვილი.

1947 წ. 12 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. მინისტრთა საბჭოს ტიტულიანი ფურცელი. ადევს რეზოლუცია რ. შადურის სახელზე. მელანი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

97. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის რ. შადურის ბრძანება, ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი, ელისაბედ ჩერქეზიშვილის დაბადებიდან 80 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 1947 წლის 19 მარტს კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში საიუბილეო საღამოს მოწყობის შესახებ.

პირი: ვ. ანჯაფარიძე, აკ. ვასაძე, ა. თაყაიშვილი, ვ. მაჭავარიანი, შ. მშველიძე, ა. სმირა-ნიანი, შ. ლამბაშიძე, ვ. ყუშიტაშვილი, ს. ჩიქოვანი, ნ. ჩხეიძე, თ. ჭავჭავაძე, მ. ჭიაურელი, აკ. ხორავა, გ. ჯიბლაძე.

1947 წ. 13 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: რ. შადური. დამონმებული (გვარი არ იკითხება). ბეჭედდასმული. 1 გვ.

98. ელისაბედ ჩერქეზიშვილის საპენსიო ნიგნაკი, გაცემული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1927 წ. 1 მარტის №7 დადგენილების საფუძველზე.

1947 წ. 23 სექტემბერი. თბილისი. დასტამბული, შევსებული ხელით. მელანი. ახლავს ელისაბედ ჩერქეზიშვილის ფოტოსურათი. ბეჭედდასმული. 18 გვ.

99. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ელისაბედ ჩერქეზიშვილის დაბადებიდან 80 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 1947 წლის 19 მარტს საიუბილეო საღამოს გამართვის შესახებ.

პირი: რ. შადური, ვ. ანჯაფარიძე, ა. ვასაძე, ნ. ვაჩნაძე, შ. ლამბაშიძე, ი. გვინჩიძე, ნ. გოცირიძე, ი. გრიშაშვილი, გ. ჯიბლაძე, ე. დონაური, ა. ინაშვილი, ვ. ყუშიტაშვილი, ვ. მაჭავარიანი, შ. მშველიძე, ა. სმირანიანი, ა. თაყაიშვილი, ა. ხორავა, თ. ჭავჭავაძე, მ. ჭიაურელი, ს. ჩიქოვანი, ნ. ჩხეიძე.

1947 წ. თბილისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

100. ელისაბედ ჩერქეზიშვილი – „ავტობიოგრაფია და ზოგიერთი მასალები საიუბილეო“. ასევე წერს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში 1943-1946 წწ. ზაფხულის გასტროლების შესახებ

1947 წ. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 36 გვ.

101. ცნობა ელისაბედ ჩერქეზიშვილისათვის პენსიის გადიდების შესახებ.

პირი: გაჩეჩილაძე.

1948 წ. თბილისი. ნაბეჭდი. შევსებული ხელით. მელანი. საქართველოს სსრ სოცურუნ-ველყოფის სამინისტროს ბლანკიანი ფურცელი. 1 გვ.

102. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის შეტყობინება ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, მისი კონცერტში მონაწილეობის შესახებ.

1948 წ. 23 თებერვალი. თბილისი. ბლანკი. დასტამბული. შევსებული ხელით. მელანი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

103. ხელშეკრულება დადებული ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორს ლადო ანთაძესა და ელისაბედ ჩერქეზიშვილს შორის მსახიობისთვის შემოქმედებითი საღამოს მონაწილობის შესახებ.

1948 წ. 29 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ლადო ანთაძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი. მეორე გვერდზე ელისაბედ ჩერქეზიშვილის ავტოგრაფული მინაწერი. ბეჭედ-დასმული. 1 გვ.

104. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის კ. თარგამაძის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი პენსიის დანიშვნის თაობაზე. ატყობინებენ, რომ სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 28 ივლისის დადგენილებით გაუქმებულია პერსონალური პენსიები და მისი პენსია მცირდება 600 მანეთამდე, მაგრამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო 1948 წლის 31 აგვისტოს დადგენილებით შუამდგომლობას უწევს ელისაბედ ჩერქეზიშვილს სსრკ მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა შენარჩუნებულ იქნეს პენსია ჩვეული (800 მან.) ოდენობით, მაგრამ ჯერ ჯერობით ელისაბედ ჩერქეზიშვილი მიიღებს პენსიას 600 მანეთის ოდენობით და სამსახურის არქონის შემთხვევაში დამატებით მიეცემა 60 მანეთი.

1948 წ. 27 სექტემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: კ. თარგამაძე. რუსულ ენაზე.

1 გვ.

105. ელისაბედ ჩერქეზიშვილის მოკლე დახასიათება.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

106. სახელმწიფო თეატრების დირექტორის თხოვნა ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, „ფრონტის დღის“ საღამოში მონაწილეობის მიღების შესახებ, საღამოს მასპინძლის როლში.

უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: დირექტორი და ადმინისტრატორი (გვარები არ იკითხება). შავი მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

107. ელისაბედ ჩერქეზიშვილის ავტობიოგრაფია.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 6 გვ.

108. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წერილი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი. თხოვენ მონაწილეობა მიიღოს მათ მიერ ნაძალადევის თეატრში დადგმულ სპექტაკლში „ქრისტინე“ და დაესწროს რეპეტიციას.

უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. ხელს აწერს გამგეობის წევრი იასონ ფანიაშვილი. ამ-იერკავკასიის სარკინიგზო გზების სამმართველოს ფურცელი. 1 გვ.

109. მარჯანიშვილის თეატრის დირექტორის შალვა ლამბაშიძის ბარათი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი. სთხოვს დროზე დაბრუნებას სპექტაკლ „მეჯღანუაშვილში“ სათამაშოდ და ბიულეტენის წამოღებას.

უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ.

110. კინოსტუდიის ბარათი-შეტყობინება ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი, რეჟისორ მაკაროვთან მოსალაპარაკებლად გამოცხადების შესახებ.

უთარილო. ნაბეჭდი, შევსებული ხელით. მელანი. ხელმოწერა არ იკითხება. დაზიანებული. 1 გვ.

111. სსსრ სოცუზრუნველყოფის სახ. კომისარიატის სახ. უზრუნველყოფის სექტორის გამგის ბლანკიან ფურცელზე დაწერილი ბარათი ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი. ატყობინებენ მუშტაიდის ბაღში ვოდევით „დედისერთას“ წარმოდგენის შესახებ. სთხოვენ რეპეტიციასზე დასწრებას და პირდებიან გზის ფულის ანაზღაურებას.

პირი: ი. გრიშაშვილი, ტ. აბაშიძე, ბალანჩივაძე, გამყრელიძე.

უთარილო. ხელნაწერი. მელანი. ცისფერი ფანქარი. ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი (გვარები არ იკითხება). 1 გვ.

112. თბილისის კინოსტუდიის ხელშეკრულება ელისაბედ ჩერქეზიშვილთან კინოფილმ „ქეთო და კოტეში“ მონაწილეობის შესახებ.

